



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #080/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ ჟვანია (სტუდენტი)

ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ყოფილმა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი არ აძლევდა კვალიფიციურ იურიდიულ რჩევას, ადვოკატმა ის და მისი შვილი არ ამორიცხა სარჩელში მოპასუხეთა წრიდან, საჩივრის ავტორს მტკიცებულებების მოპოვება უწევდა თავად, ადვოკატი არ აყენებდა შუამდგომლობებს და ყურადღებას არ ამახვილებდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე. შესაბამისად, ადვოკატმა არაკვალიფიციურად აწარმოა მისი საქმე და არ დაიცვა მისი ოჯახის ინტერესები.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე: ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. ასევე, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტი და ადვოკატი შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მას მომსახურებას გაუწევდა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წარმოების კუთხით. წარმოდგენილი საქმის მასალებით კი იკვეთება, რომ ადვოკატმა იმ პერიოდში, როდესაც ის წარმომადგენდა მოსარჩელე მხარის ინტერესებს მონაწილეობა მიიღო კლიენტის ყველა დავაში, როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლებრივი კუთხით. ადვოკატის საქმეში ჩართულობა არ ყოფილა ფორმალური: ადვოკატის საადვოკატო მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესის გასატარებლად, ადვოკატი ამზადებდა იურიდიულ დოკუმენტებს, აყენებდა შუამდგომლობებს, მისი ჩართულობა მათ საქმეში არ ყოფილა ფორმალური, კლიენტებმა ადვოკატის საადვოკატო საქმიანობის შედეგად მიიღეს სამკვიდრო ქონება. ამავდროულად, კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მიმართ არსებული პრეტენზიების ნაწილი სცდება საადვოკატო უფლებამოსილებას და უკავშირდება სამოსამართლო საქმიანობას და საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მისამართით გაქვრებული ეს პრეტენზიები წარმომადგენდა მოქმედებას, რომელიც ადვოკატზე დამოკიდებული არა იყო. კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის ზოგიერთი პრეტენზია ცდება ეთიკის კომისიის შემოწმების ფარგლებს, რადგან კომისია ვერ ჩანაცვლებს სასამართლოს და ვერ გამოიტანს დასკვნას, რა შედეგი ექნებოდა ასეთ გასაჩივრებას. ასევე, არ წარმოუდგენია საჩივრის ავტორს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მოთხოვნას და შესაბამის შეთანხმებას ადვოკატთან ამ საქმის წარმოებაზე.

დასკვნა

საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ მ. ც.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

¹ https://gba.ge/pdf/5d2db2dda2b52.pdf/080_18.%2012.09.18.%20ar%20aghdzvra.pdf